

„შინმოვლის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნები

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია „საქართველოს კარიტასის“, ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული ტრენინგ ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ჩართულობით, რათა დასაქმების მნიშვნელოვან, შინმოვლის სფეროში, რომელსაც აქვს პირდაპირი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, უზრუნველყოს სწავლების სათანადო ხარისხი.

დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ნებისმიერი განსხვავებული მიდგომა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.

პროგრამის რეკომენდებული სახელწოდება: „შინმოვლის სპეციალისტი“.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4.

პროგრამის მოცულობა: არანაკლებ 220 საათისა.

დაშვების წინაპირობა: მინიმალური ასაკი 18 წელი, საბაზო განათლება.

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მოამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი ზრუნვის სისტემისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარის მქონე სპეციალისტი მომვლელი, რომელიც როგორც ბინაზე ასევე, სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება და საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) შეძლებს სწორი და ადექვატური საბაზისო მოვლის მომსახურების მიწოდებას ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების და პირადი უსაფრთხოების წესების დაცვის გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია შინმოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოუმუშაოს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ სამედიცინო განათლება და მისცეს მათ დასაქმების საშუალება.

მინიმალური სწავლის შედეგები, შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა და სარეკომენდაციო საათობრივი დატვირთვა:

1. შინმოვლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა (48 სთ)

- შინმოვლის კონცეფცია;
- შინმოვლის კომპონენტები - ფსიქოსოციალური და საბაზისო მოვლა;
- შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლები;
- მოვლის თეორიული ასპექტები;
- ეთიკის მნიშვნელობა შინმოვლის სფეროში;
- მომვლელის ფსიქო-ემოციური (სტრესი, ემოციების კონტროლი, გადაწყვე და ა.შ.) მდგომარეობის სტაბილურობა;
- დამოკიდებულების ხარისხის, უძლურების შეფასება - ბართელის უძლურების შკალა, ADL და IADL ტესტები;
- ბენეფიციარზე დეტალური დაკვირვება;
- სასიცოცხლო მონაცემების შეფასება (გაზომვა);

- უსაფრთხოებისა და პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა ინფექციის კონტროლის საკითხების გათვალისწინებით.

2. ეფექტური კომუნიკაცია შინამოვლაში (12 სთ)

- კომუნიკაციის პროცესი;
- მოსმენის პროცესი;
- საუბრის დაგეგმვა და წარმართვა;
- ეფექტური ინდივიდუალური და ჯგუფური კომუნიკაციის წესები და ბარიერები.

3. შინამოვლის მომსახურების დაგეგმვა და ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა (10 სთ)

- დაგეგმვის პრინციპები;
- მოვლის ინდივიდუალური გეგმა;
- მოვლის უსაფრთხო ადექვატური გარემოს შექმნა საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით (ბინის მოწყობა, ადაპტირება).

4. ბენეფიციარისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება (80 სთ)

- მომვლელის სწორი პოზიცია ბენეფიციართან მუშაობის დროს;
- ბენეფიციარის რეპოზიცირება საწოლში;
- სხეულის მოვლა;
- საკვების და სითხის მიღება;
- დახმარება გამოყოფის დროს;
- სხვადასხვა დაავადებების დროს მოვლის თავისებურებები;
- შინამოვლის დოკუმენტაციის წარმოება.

5. ბენეფიციარისთვის, მისი გარემოცვის წევრებისთვის რეკომენდაციების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში (30 სთ)

- დამოუკიდებლობის შენარჩუნება;
- მოვლის ტექნიკური დამხმარე საშუალებების გამოყენება;
- გართულებების და გამწვავებების თავიდან აცილების სწავლება/რეკომენდაცია (ნაწოლი, ყაზოზა, პნევმონია, კონტრაქტურა, თრომბოზი, სოკოვანი დაავადება, ინტერტრიგო, დაცემა, ცისტითი).

6. ბენეფიციარის მოვლა სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით (20 სთ)

- მენტალური დარღვევების მქონე პირების მოვლა;
- გამომწვევი ქცევა - წინაპირობები, გამოვლინება;
- ძალადობა და აგრესია - ამოცნობა, რეაგირება.

7. ბენეფიციარის პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების გაწევა და გადამისამართება (20 სთ)

- პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები და გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები;
- მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა ადგილზე გამოძახებული ჯანდაცვის გუნდისთვის.